აკაკი წერეთლის პირადი ფონდი

~~248~~

247

287 1 247

287 1 247

დასკანირებულია 16.01.2025 14

19.

„[illegible]", 1963, 15/XII №149

მან ამ მიწაზე აიდგა ფეხი

მახსოვს, დიდი სამამულო ომის წინა წელი იყო. ჟურნალისტმა და პოეტმა ალიოშა თოფურიამ უცნობი ჭაბუკი შემოიყვანა რედაქციაში, „ნიჭიერი ახალგაზრდაა, იქნებ გამოგვადგეს" — თქვა მან. ჭაბუკი განზე გადგა მორიდებით, მოთეთრო სახეზე სიწითლემ გადაჰკრა. იქნებ ეუხერხულა ეპითეტი „ნიჭიერი".

მე დავაკვირდი მას. ოდნავ ჭროლა თვალებში ბუნდოვანი ოცნება თუ რაღაც შორეული და გამოუცნობი მიზნისადმი იდუმალი სწრაფვა ილანდებოდა. მთელი მისი არსება უცნაურ ბავშვურ მიამიტობას გამოხატავდა, თითქოს მიწიერი არა ეცხო რა.

ეჭვი შემეპარა, „გამოგვადგება კი?!" ალიოშამ შემამჩნია ყოყმანი და ალმაცერად გადმომხედა: „ვსინჯოთ".

ვსინჯეთ. ახალი მუშაკის მოსვლა რედაქციაში მთელი მოვლენაა არა მარტო ახალბედასათვის, არამედ ძველებისთვისაც. ვინ არის?, რა ძალა შესწევს? შემთხვევითი გამვლელია თუ სულით ჟურნალისტი? ვსინჯეთ და არც მოვტყუებულვართ. აკაკი თოფურიამ (ეს უცნობი ჭაბუკი სწორედ ის იყო) პირველი კორესპონდენცია კარგი ქართულით დაწერა. ცუდი დასაწყისი არ იყო, მაგრამ ყოველ მის სტრიქონში, თემის გაშლაში, ადამიანებისა და ფაქტების შეფასებაში მკაფიოდ ჩანდა სასკოლო მერხიდან გამოყოლილი გულუბრყვილობა. ცხოვრებას არ იცნობდა, აკლდა გამოცდილება, ცხოვრებისეული დარჯაკი.

მაგრამ ყოველივე ეს ხომ იმ ასაკში მისატევებელია. მთავარია ნიჭი და მონდომება, თორემ გამოცდილება შეიძინება, ცხოვრება თვითონ გიჩვენებს გზას... და მართლაც, კაკო ეგუებოდა გარემოს, დადიოდა საწარმოებში, ეცნობოდა ამხანაგებს, უახლოვდებოდა მათ და წერდა. წერდა სულ უფრო გამართულად, მიმზიდველად. წერდა და იზრდებოდა.

გაშინაურდა, სითამამე მოემატა და აი ერთხელ ახალი უნარიც გამოაჩინა: რედაქციის მუშაკების წინაშე პირველად გახსნა ლექსების რვეული. ერთბაშად აფართქალდნენ ჭეშმარიტად პოეტური სტრიქონები. ჩვენ ვკითხულობდით და გვიხაროდა, ის კი განზე იჯდა, მორცხვად ილიმებოდა და თვალებში კვლავ შორეული, მიუხვედრელი ოცნება უკრთოდა.

გადიოდა დღეები. ერთხელ რედაქციამ კაკო მრავალდღიანი მივლინებით გაგზავნა კოლმეურნეობებში, იქიდან კი.. ჯარისკაცის ფარაჯით დაბრუნდა. ომი დაიწყო! გვენანებოდა, რომ ჯერ კიდევ ზრდადაუმთავრებელი ჭაბუკი ომის ქარცეცხლში [?]ალვარში უნდა შევარდნილიყო...

დავემშვიდობეთ და წავიდა.

1945 წლის ზაფხულში ჩემი სამუშაო ოთახის კარები შემოაღო ოფიცერმა, რომელსაც კოხტად მორგებული მაზარა და უფროსი ლეიტენანტის სამხრეები შვენოდა. მე უცბად ვერ ვიცანი. დავაჟკაცებულიყო, ულვაშები გაზრდოდა, სახე მზისა და ქარისაგან გარუჯოდა. ჩემს წინ ბრძოლაგამოვლილი, ბევრი ჭირისა და ვარამის მნახველი კაცი იდგა. არა, ეს არ იყო ხუთი წლის წინანდელი ჭაბუკი, მორცხვი და სათუთი, ხელის გულზე გაზრდილი ბიჭი. მხოლოდ თვალებში შერჩენოდა სულის ადრინდელი სინაზე და ყრმობის ოცნება, ახლა უკვე სავსებით გარკვეული და მიზანდასახული.

—სწავლა უნდა განვაგრძო,—თქვა კაკომ გულითადი საუბრის შემდეგ, როცა სიტყვა მის შემდგომ ბედზე ჩამოვაგდე.

აკაკი თოფურია თბილისში გაემგზავრა, გაზეთ „სახალხო განათლების" რედაქციაში მოეწყო და უმაღლესში შევიდა. ინსტიტუტი წარმატებით დაამთავრა. იმავე წელს მინიმუმი ჩააბარა. მან მეცნიერების ეკლიანი გზა აირჩია. მალე დისერტაციაც დაიცვა პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხზე. ჩვენ, მისი მეგობრები ერთხანს გაოცებული ვიყავით. თურმე არ ვიცნობდით მისი ნიჭის კიდევ ერთ მხარეს—მეცნიერული კვლევის უნარს. ისე კი, რა სათქმელია, გვახარებდა მისი წარმატებები ამ დარგშიც.

წარმატება დაძაბულ შრომას და ნიჭს მოსდევს. კაკო მტკიცედ მიუყვებოდა არჩეულ გზას, თავდაუღალავი შრომობდა და მოკლე ხანში რამდენიმე წიგნი დასწერა საშუალო სკოლაში მხატვრული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკაზე. უკანასკნელად კი მან კვლავ ახალი და დიდი საქმით გაგვახარა: ეს-ეს არის დაიცვა დისერტაცია ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხზე.

ფოთის მიწაზე ბევრ სახელოვან ადამიანს აუდგამს ფეხი, ჩვენი საქალაქო გაზეთის რედაქციას არაერთი კარგი ჟურნალისტი და ადამიანი აღუზრდია და აი ერთი მათგანიც—აკაკი თოფურია, ჯერ ახალგაზრდა, მაგრამ უკვე საკმაოდ ცნობილი.

ჩვენ მას შემდგომ წარმატებებს ვუსურვებთ ახალი თაობის აღზრდის, კომუნიზმის ახალგაზრდა მშენებელთა აღზრდის კეთილშობილურ საქმეში.

ი. ძოიავა,
ჟურნალისტი.

რაზე მუშაობენ ფოთელი მეცნიერები?

საინტერესოა ვიცოდეთ

ამ იმდინარე წელს ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის კოლხიდის ფილიალი ამუშავებს 6 თემას:

„აგრომელიორაციული ღონისძიებების გამომუშავება კოლხეთის დაბლობის დაშრობილ მიწებზე ერთწლიანი კულტურებისათვის წყლის რეჟიმის რეგულირების მიზნით" — ასეთია თემა, რომლის დამუშავებას ხელმძღვანელობს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი ა. ბ. მოწერელია (შემსრულებელი უმცროსი მეცნიერმუშაკი ვ. გ. ურუშაძე).

აღნიშნული თემით გათვალისწინებული საკითხების შესწავლის მიზნით ცდები დაყენებულია ფილიალის ხორგის ექსპერიმენტულ-ბაზაზე.

თემის — „აგრომელიორაციული ღონისძიებების კომპლექსის გამომუშავება კოლხეთის დაბლობის დაშრობილ მიწებზე ნიადაგური პირობების გაუმჯობესების მიზნით", — დამუშავებას ხელმძღვანელობენ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატები რ. ი. პაპისოვი და ა. ბ. მოწერელია.

ამ საკითხების შესწავლის მიზნით ცდები მრავალწლიანი კულტურების, კერძოდ ჩაის ქვეშ, დაყენებულია ფილიალის ხორგის ექსპერიმენტულ ბაზაზე.

მეტად პერსპექტიული ღონისძიების ეფექტურობის დადგენას ემსახურება თემა — „კოლხეთის დაბლობის დაჭაობებული მძიმე ნიადაგების ფიზიკური თვისებების გაუმჯობესების რაციონალური წესის გამომუშავება მოქვიშვისა და დამუშავების ერთობლივად გატარების გზით".

იგი ითვალისწინებს კოლხეთის დაბლობის მძიმე ნიადაგების თვისებების რადიკალურად გადაკეთებას. მის დამუშავებას ხელმძღვანელობს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი ა. ბ. მოწერელია.

ამ საკითხების შესწავლის მიზნით ცდების დაყენება გათვალისწინებულია ჭალადიდის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობაში. თემის სამუშაოებში მონაწილეობს აგრეთვე კოლხიდმშენი.

„კოლხიდის დაშრობილ მიწებზე ნიადაგის პირველადი დამუშავების წესების გამომუშავება და წინამორბედი კულტურების ეფექტურობის დადგენა". ამ თემის დამუშავებას ხელმძღვანელობს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი პ. გ. ვადაჭკორია.

ამ მიზნით ცდები დაყენებულია ფილიალის ხორგის ექსპერიმენ-
ტულ ბაზაზე. კოლხეთის დაბლობის ნია
რეჟიმისა და ბალანსის შესწავლისადმი
ხელმძღვანელობს გეოლოგიურ მეცნიე
ჩენკო.

თემით გათვალისწინებული საკით
წარმოებს ჭალადიდისა და სუფსა-ნატა
ამ საკითხის დამუშავებაში ჩაებმება სა
მელიორაციის ინსტიტუტიც.

კოლხეთის დაბლობის პირობებ

შრომითი

ისინი 1965 წლის ა

ბარაქიანი თევზჭერა აქვთ კოლმე-
ურნეობა „კოლხიდის" მეთევზეებს
რომლებმაც უჩვეულო შრომითი ენ
თუზიაზმით საკმაოდ გაუსწრეს დროს
მათ დიდი გადაჭარბებით შეასრუ
ლეს მიმდინარე და 1964 წლები
თევზჭერის სახელმწიფო გეგმა დ
ამჟამად 1965 წლის ანგარიშში მუშ
ობენ.

1963 წლისათვის „კოლხიდელებს
უნდა დაეჭირათ 7.310 ცენტნერი თე
ვზი. ფაქტიურად 14.930 ცენტნერ
დაიჭირეს.

ამ დიდ წარმატებაში მნიშვნელო
ვანი შრომითი წვლილი შეიტანე
№ 127 (კაპიტანი ა. ბებია, ბრიგადი
რი ე. მოტოვი) და № 1 14 სეინერ
(კაპიტანი ვ. ვასკოვი, ბრიგადირი

როგორც ყოველთვის

უწუნო და უავარიო მუშაობ
საწვავის ეკონომია — აი საკი
თხები, რომლებსაც უცვლელად სა
ფუძვლად უდებენ თავიანთ საქმია
ნობას საორთქმავლო დეპოს მემან
ქანეები. ამიტომაა, როგორც ყოველ
თვის, ნოემბერშიაც კარგად იმუშავე
მათ. არა აქვთ წუნისა და ავარიი
არცერთი შემთხვევა. ორთქმავლ
გარბენის 11 თვის გეგმა 110 პრო-
ცენტით შეასრულეს, დაზოგეს 1
ტონაზე მეტი საწვავი, შრომის ორგ
ნიზაციის გაუმჯობესების შედეგა
ავადმყოფი ორთქმავლების დგო
შემცირებულია 3,1 პროცენტით. ზ
გეგმითი დაგროვება 322 მანეთს შ
ადგენს.